პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 48 (11052) | ხუთშაბათი, 27 თებერვალი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (1-ლი გვერდი).

ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი (1-ლი გვერდი).

მ. ჭკადუა. — 25 წელი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ (1-ლი გვერდი).

კახოვკელი მეგობრები ეცნობიან კაჭრეთელთა მუშაობას (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და ყველა მუშაკთა ვალდებულებანი 1958 წლისათვის (მე-2 და მე-3 გვერდი).

ხალხის კანდიდატები. — ვლ. დემეტრაძე, დ. პაიჭაძე. — რატომ უყვარს სოფელს მამია აბაშიძე (მე-3 გვერდი).

ი. ბეჟაშვილი — გამოფენა „სახალხო განათლება საქართველოში“ (მე-3 გვერდი).

ჩეხოსლოვაკიის რეპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტისა და ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომაზე 1958 წლის 24 თებერვალს (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის

დღეს „კომუნისტში“ ქვეყნდება საქართველოს სსრ კოლმეურნეთა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და ყველა მუშაკთა 1958 წლის ვალდებულებანი — სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდების მისაღწევად. ამ მეტად დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვით 1957 წელს ახალი წარმატებანი მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა, რომლებიც თავდადებით იბრძვიან პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, შარშან მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ორგანიზებულად დაამთავრეს და, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, მიიღეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეტი პროდუქცია, ვიდრე 1956 წელს. საკმარისია ითქვას, რომ 1957 წელს რესპუბლიკაში დამზადდა მეტი, ვიდრე 1956 წელს: ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 1,9 ათასი ტონით, ყურძენი — 9,9 ათასი ტონით, ხილი — 16,5 ათასი ტონით, ციტრუსოვანთა ნაყოფი — 15,2 ათასი ტონით, რძე — 14,9 ათასი ტონით, კვერცხი — 4,6 მილიონი ცალით, მატყლი — 605 ტონით. შესრულებულია მარცვლეულის, მზესუმზირას, ხილის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, თამბაქოს, ციტრუსოვანთა ნაყოფის, მსხვილი და წვრილი ტყავნეღლეულის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, გაწეულია არცთუ ცოტა მუშაობა. მაგრამ საქართველოს კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და ყველა მუშაკს არ სჩვეოდათ მიღწეულით დაკმაყოფილება. საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებში მთელი სერიოზულობით არის აღნიშნული, რომ ჩვენს რესპუბლიკას აქვს მდიდარი შესაძლებლობანი და რეზერვები უმნიშვნელოვანესი პროდუქტების, განსაკუთრებით ჩაის, ყურძნის, ხორცის, რძის, კარაქის და სხვ. წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების პრაქტიკა სავსებით ცხადყოფს, რომ თუ ყველგან მოვახერხებდით არსებული შესაძლებლობებისა და რეზერვების მოქმედებაში მოყვანას, მოკლე დროში თვალსაჩინოდ გაიზრდებოდა ყველა სახის პროდუქტების წარმოება. განა ამ რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამოყენებით არ შეძლეს ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა, რომ 170 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 6.885 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღეს! გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობამ 95 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 97 ცენტნერი ყურძენი რომ მიიღო, ხოლო გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“ — 142 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 115 ცენტნერი ხილი. ეს ცხადყოფს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა არსებული შესაძლებლობის გონივრულად და უნარიანად გამოყენებას. მთელ რესპუბლიკაში კარგად არის ცნობილი აფხაზეთის მეთამბაქოეთა შესანიშნავი წარმატებანი. შარშან მათ მაღალხარისხოვანი თამბაქოს კარგი მოსავალი მოიყვანეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 9.312 ტონა თამბაქო, ანუ 2.500 ტონით მეტი, ვიდრე 1956 წელს. ასევე შესანიშნავია ბოგდანოვკის, ბათუმის, ქობულეთის, წალკის და დმანისის რაიონების მეცხოველეთა წარმატებანი რძის წარმოების გადიდების საქმეში.

ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიერ აღებულია უაღრესად სერიოზული, პასუხსაგები ვალდებულებანი, საჭიროა სრულად გამოვავლინოთ ჯერ კიდევ გამოუყენებელი მდიდარი რეზერვები, თვალი გადავავლოთ ჩვენს შესაძლებლობებს, ავწონ-დავწონოთ, თუ დამატებით რის გაკეთება შეიძლება, რათა ყველაფერი ავამოქმედოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უფრო უხვი მოსავლის მოყვანისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისათვის.

თუ რაოდენ დიდი და პასუხსაგებია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიერ აღებული ვალდებულებანი, კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: ნაკისრი გვაქვს 1958 წელს რესპუბლიკაში საშუალოდ ჰექტარზე მოვკრიფოთ სულ ცოტა 2.700 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 127 ათასი ტონა ნედლეული. მსხმოიარე ვენახების მთელი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ კოლმეურნეობებში 55 ცენტნერი, საბჭოთა მეურნეობებში — 65 ცენტნერი და ჩავაბაროთ სახელმწიფოს სულ ცოტა 140 ათასი ტონა ყურძენი, გავაშენოთ 4.600 ჰექტარი ახალი ვენახები, აქედან კოლმეურნეობებში 3.000 ჰექტარი და საბჭოთა მეურნეობებში — 1.600 ჰექტარი, მოვკრიფოთ მსხმოიარე ნარგავების მთელი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 40 ცენტნერი თესლოვანი და კურკოვანი ხილი, გავადიდოთ ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავალი და მივიღოთ სულ ცოტა 25 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი, შევტეხოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 18 ათასი ტონა ხარისხოვანი თამბაქო. ჩვენ ვიკისრეთ 1958 წელს ძროხის სულადობა კოლმეურნეობებში გავადიდოთ 25 ათასი სულით და საშუალოდ ძროხაზე მივიღოთ სულ ცოტა 1.500 კილოგრამი რძე, ანუ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე — 100 ცენტნერი რძე, ვაწარმოოთ 20 ცენტნერი ხორცი, აქედან 10 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე და სხვ. ცალკეულმა რაიონებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უფრო გადიდებული ვალდებულებები აიღეს.

აქედანვე ფართოდ უნდა გავაჩაღოთ დაუღალავი ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებისათვის. უნდა ვიცოდეთ და არასოდეს არ დავივიწყოთ, რომ ეს ბრძოლა იოლი არ იქნება, იგი მოითხოვს ბევრ ძალასა და ენერგიას, ინიციატივასა და ოპერატიულობას. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს პირველად როდი უხდებათ ასეთ სიძნელეებთან შებმა და გადალახვა. მათს მაღლიან მარჯვენას წინათაც ყოველთვის პირნათლად შეუსრულებია პარტიისა და მთავრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულება, და ეჭვი არ უნდა შევიტანოთ იმაში, რომ ისინი ახლაც არ უღალატებენ თავიანთ ტრადიციას და 1958 წელსაც გამარჯვებულნი გამოვლენ ამ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის თავდადებულ ბრძოლაში.

სოფლის კომუნისტები და კომკავშირელები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებაში, მოწოდებული არიან არა მარტო გაიაზრონ ახსნაგანმარტებითი მუშაობა ამ ვალდებულებების თვითეული კოლმეურნისათვის გასაცნობად, არამედ მათი წმიდა მოვალეობაა ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, სათავეში ჩაუდგნენ მას და თავიანთი პირადი მაგალითით აღაფრთოვანონ ყველანი თავდადებული შრომისათვის. ძალიან კარგს გააკეთებენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, თუ გადამწყვეტ უბნებზე გაგზავნიან მუშაობაში შემოწმებულ კადრებს, დაწესებენ შეუსუსტებელ კონტროლს იმაზე, თუ როგორ სრულდება ყოველდღიური დავალებანი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები 1958 წელს მოიპოვებენ ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის საქმეში და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის საქმეში.

ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან

თბილისის პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის—ლენინის № 147 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ნოვატორ ხარატ ალექსანდრე ნესტორის-ძე მარგველაშვილთან.

შეხვედრაზე ნდობით აღჭურვილმა პირებმა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკურ-დამპროექტებელი საამქროს უფროსმა კ. ვლახმა, მომნინაჭრებული ჭურჭლის ქარხნის დირექტორმა ვ. გრიგალაშვილმა უამბეს შეკრებილებს დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, აღნიშნეს, რომ იგი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებას.

შეხვედრაზე აგრეთვე გამოვიდნენ კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშა შ. ფიოცალავა, მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელი ტ. პეჩინსკაია, დიასახლისი ს. ადამაშვილი და სხვ. მათ მოუწოდეს ამომრჩევლებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

ი. მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ ნდობის გამოცხადებისათვის. (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

24 თებერვალს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. კომისიამ განიხილა არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

ამ მომენტისათვის კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაამთავრეს რეგისტრაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისა, რომლებიც დაასახელეს მშრომელთა საერთო კრებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა საზოგადოებებმა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის მასალები, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიებმა წარმოადგინეს, და დაადასტურა, რომ ისინი რეგისტრაციაში გატარებული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესაბამისად.

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი კავშირის საბჭოს არჩევნების ბელცის საარჩევნო ოლქში (მოლდავეთის სსრ) და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შორეული აღმოსავლეთის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მსვლელობის შესახებ.

მოხსენებანი ლენინგრადში, ლენინგრადისა და მურმანსკის ოლქებში, მთიანი ალტაის ავტონომიურ ოლქში, ლატვიისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების შესაბამ გააკეთეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა ი. ბ. აბაშიძემ, ი. კ. ავოტმა, ფ. ი. გოლიკოვმა, ი. ვ. სპირიდონოვმა და გ. ა. ფრომოვმა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საოლქო საარჩევნო კომისიებს ურჩია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საარჩევნო ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას, ამომრჩეველთა სიების დაზუსტებისადმი მეთვალყურეობას, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობის სწორ ორგანიზაციას.

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცებისა და ამომრჩეველთა სიების შედგენის შესახებ ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოისმინა აგრეთვე ინფორმაცია ადგილებზე საარჩევნო ბიულეტენების დამზადების მიმდინარეობის შესახებ.

25 წელი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ

ი. ახალაია.

* * *

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ზემო ბარღები ღარიბი და მივარდნილი სოფელი იყო. ამჟამად კი დოვლათით და სიმდიდრით ამაყობენ აქაური კოლმეურნეები. კოლექტიურმა შრომამ ააყვავა სოფელი. 25 წელია ზემო ბარღების კოლმეურნეობა „გიგანტს“ თავმჯდომარეობს სასოფლო-სამეურნეო არტელის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი — ივანე ეგნატეშვილი ახალაია. ივანე იგორეს კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველი წლების სიძნელეებს. არ ჰქონდათ საჭირო ტექნიკა, არ ჰყავდათ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მაგრამ მშრომელთა ერთსულოვნებამ და დარაზმულობამ თავისი გაიტანა. წლითიწლობით მტკიცდებოდა და ძლიერდებოდა არტელის საზოგადოებრივი მეურნეობა, იზრდებოდა კოლმეურნეთა შემოსავალი.

ამჟამად კოლმეურნეობა „გიგანტის“ წლიური ფულადი შემოსავალი 7-8 მილიონ მანეთს აღემატება, თვითეულ შრომადღეზე 45-50 მანეთი ნაწილდება.

საზოგადოებრივ შრომაში აქტიური მონაწილეობით ბევრმა კოლმეურნემ გაითქვა სახელი. რაიონში ყველა იცნობს მოწინავე მეჩაიეებს ეუეუნა შამუგიას, ნათელა ტაბაღუას, მზია ნიეარაძეს და სხვებს.

კოლმეურნეობაში სიმინდის უხვი მოსავალი მოჰყავთ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას. გეგმით გათვალისწინებული 750 ლიტრის ნაცვლად გასულ წელს თვითეულ ძროხაზე მიღებულია 900 ლიტრი რძე. არტელმა 105 პროცენტით გაანაღდა აბრეშუმის პარკის ჩაბარების წლიური გეგმა, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო დამზადების ყველა სახის დავალება.

სახე იცვალა სოფელმა. კოლმეურნეთა ცხოვრებაში რადიო, ელექტრობა დამკვიდრდა. აშენდა კოლმეურნეობის ადმინისტრაციული სახლის ორსართულიანი შენობა, კულტურის სახლი. კოლმეურნეობამ 3 მილიონი მანეთი გამოჰყო საშუალო სკოლის ახალი სამსართულიანი შენობის ასაგებად.

ამ წარმატებათა მოპოვებაში დიდი წვლილი მიუძღვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. ახალაიას, რომელიც 25 წელია განუწყვეტლივ მუშაობს ამ პოსტზე. იგი საქმის ცოდნით უძღვება საზოგადოებრივ მეურნეობას, რის შედეგად კოლმეურნეობა გალის რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა. ი. ახალაია სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს არა მარტო სოფელში, არამედ მთელ რაიონშიც. ამიტომ იყო, რომ ხალხმა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია.

თავმდაბალ და გულისხმიერ კომუნისტს, კოლმეურნეობის უნარიან ხელმძღვანელს სოფელ ზემო ბარღების მშრომელები დღეს იუბილეს უხდიან კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობის 25 წლის აღსანიშნავად.

ი. ახალაია სიტყვას აძლევს კოლმეურნეებს, კვლავაც მათ გვერდით იქნება პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მ. ჭკადუა,

გალის რაიონული გაზეთის — „სტალინური გზით“-ის რედაქტორი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ამ დღეებში ამხ. ა. თ. გორკინის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პლენუმმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის ამხ. პ. ი. ბარდინის მოხსენების გამო, მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებისა და უმაღლესი სასამართლოების შენიშვნათა და წინადადებათა გათვალისწინებით, მიიღო დადგენილება იმ დავაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს რკინიგზითა და სანაოსნო გზით ტვირთზიდვიდან.

პლენუმმა გააუქმა სამოქალაქო სატრანსპორტო საქმეებში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის წინათმოქმედი დადგენილებანი, რამდენადაც ამ დადგენილებათა ზოგიერთი მითითება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის რკინიგზებისა და შინაგან წყალ-ტრანსპორტის ახლადმიღებულ წესდებებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოები ხშირად არღვევენ საქმეთა განხილვის პრეტენზიის წესს. პლენუმმა განმარტა, რომ სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს ტვირთზიდვიდან, შეიძლება წაყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია პრეტენზიის წესი და წარმოდგენილია საჭირო დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ ამ წესის დაცვას. პლენუმმა აღნიშნა, რომ ტვირთის დანაკლისის ან დაზიანების შესახებ საქმეთა განხილვისას სასამართლოებმა უნდა გამოარკვიონ ტვირთის დანაკლისის თუ დაზიანების მიზეზები და საჭირო შემთხვევებში გამოიტანონ კერძო განჩინება დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დებულების შესაბამისად, პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის იუსტიციის გენერალ-მაიორის ვ. ვ. ბორისოგლებსკის საანგარიშო მოხსენება კოლეგიის საქმიანობის შესახებ. პლენუმმა აღნიშნა, რომ სამხედრო კოლეგიამ გააუმჯობესა ორგანიზაციული ხელმძღვანელობა სამხედრო ტრიბუნალებისადმი.

ამასთან ერთად პლენუმმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი სამხედრო კოლეგიის მუშაობაში და მიუთითა, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სამხედრო ტრიბუნალების სასამართლო პრაქტიკის განზოგადებას, იმ მიზეზებისა და პირობების შესწავლას, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულობათა ჩადენას, ყურადღება მიაქციონ ჯარებში სამართლებრივი პროპაგანდის უკეთ დაყენებას და უფლების დარღვევათა თავიდან აცილებისა და არმიისა და ფლოტის პირად შემადგენლობაში სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისათვის სასამართლო საქმიანობის აღმზრდელობითი მნიშვნელობის გაძლიერებას.

სამხედრო კოლეგიის საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ სსრ-თა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა, საბჭოთა არმიისა და საჰაერო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა ფ. ი. გოლიკოვმა, მთავარმა სამხედრო პროკურორმა იუსტიციის გენერალ-მაიორმა ა. გ. გორნინმ, ზოგიერთი ოლქისა და ფლოტის სამხედრო ტრიბუნალების თავმჯდომარეებმა და სამხედრო პროკურორებმა.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ამხ. რ. ა. რუდენკომ.

კახოვკელი მეგობრები ეცნობიან კაჭრეთელთა მუშაობას

კაჭრეთი. (სპეც. კორ). რაიონის მშრომელები ყველგან გულთბილად, მეგობრულად ხვდებიან თავიანთ ძვირფას სტუმრებს — კახოვკელებს. კაჭრეთლები და კახოვკელები ერთმანეთს უზიარებენ საკოლმეურნეო წარმოებაში დაგროვილ გამოცდილებას, სტუმრები ეცნობიან რაიონის ცხოვრებას.

25 თებერვალს დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს კაჭრეთის რძის ქარხანა, რომელიც მაღალი ხარისხის ყველს, კარაქს უშვებს. იმავე დღეს სტუმრები იყვნენ ღვინის ქარხანაში, სადაც კახოვკელთა პატივსაცემად მთავარმა მეღვინემ ლ. ტაბუცაძემ მოაწყო ღვინის დეგუსტაცია.

კახოვკელების მოწონება დაიმსახურა სოფელ კაკაბეთის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმამ, რომელმაც სერიოზულ წარმატებას მიაღწია. აქ ადგილობრივი ჯიშის ძროხები ჰყავთ. შარშან საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 1.444 ლიტრი რძე ნაცვლად 1.100 ლიტრისა. წელს კი 1.700 ლიტრი რძის მიღება იკისრეს.

სტუმრები გაეცნენ კომკავშირელი მწველავის მ. ცხოვრებაძის მუშაობას. მ. ცხოვრებაძე რვა ძროხას უვლის და შარშან ერთ ძროხაზე მიიღო 1.400 ლიტრი რძე, წელს კი პირობას იძლევა 1.800 ლიტრი მიიღოს.

ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. კოზმანაშვილმა კახოვკელი სტუმრები თავის ოჯახში მიიწვია და ქართული პურმარილით გაუმასპინძლდა.

საინტერესოდ, საქმიანად ჩაიარა რაიონის აქტივის შეხვედრამ უკრაინელ მეგობრებთან. ეს შეხვედრა დაემთხვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდამეჩვიდმეტე წლისთავის დღესასწაულს. მოხსენება გააკეთა პარტიის კაჭრეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. რევაზიშვილმა.

როცა მოხსენება დამთავრდა, სცენაზე შემოდიან მონადირეები, რომლებსაც ბანტებით მორთული ცოცხალი შველი შემოჰყავთ. იგი საჩუქრად უძღვნა კახოვკელებს სოფელ ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ. დარბაზში დიდხანს გრძელდებოდა ტაში და ოვაცია ძვირფასი სტუმრების პატივსაცემად. საზეიმო კრებაზე წაკითხულ იქნა პარტიის კახოვკის საქალაქო კომიტეტის მოსალოცი დეპეშა კაჭრეთლებისადმი.

შემდეგ სიტყვას ამბობს კახოვკელთა დელეგაციის ხელმძღვანელი ა. პუცეკო, რომელმაც ახალი წარმატებები უსურვა კაჭრეთლებს თავიანთ შემოქმედებითს შრომაში, ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში. მან კაჭრეთლებს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც დაწესებულია კახოვკელების მიერ კაჭრეთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობისათვის. შემდეგ ამხ. პუცეკოომ კაჭრეთლებს უსახსოვრა დიდი ვაზა, კრემლისა და ი. ბ. სტალინის გამოსახულებით.

კრებაზე საზეიმო ვითარებაში გაფორმდა კაჭრეთისა და კახოვკის რაიონების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1958 წლისათვის. შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კახოვკელთა წარმომადგენლებმაც.

ძვირფასი სტუმრები რაიონის ცხოვრებას ეცნობიან.

საშენი მასალები რეზინის ნარჩენებისაგან

სურათზე: რეზინის ხახურავის საამქროს გამგე ი. ზონენაშვილი (მარცხნივ) და მოწინავე მგლინავი გ. ფიფია ამოწმებენ მზა პროდუქციის ხარისხს.

რეზინს ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ხმარებიდან გამოსულ რეზინის ნარჩენებს შეხვდებით ავტოგარაჟებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საწარმო-დაწესებულებათა ეზოებში. რეზინის ნარჩენების, კერძოდ, ხმარებიდან გამოსული ავტოსაბურავების რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში ძალიან დიდია, გამოანგარიშებით 1960 წლისათვის 1 მილიონ ტონას მიაღწევს.

რეზინის ეს ნარჩენები, რომლებსაც აქამდე სწვავდნენ ან ყრიდნენ როგორც უსარგებლოს, ჩინებულ საშენ მასალას წარმოადგენს. საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „აზბოცემენტის“ კოლექტივმა ძველი რეზინისაგან დაამზადა რბილი და ნახევრადმაგარი სახურავი მასალა — იზოლი.

1957 წელს შეიქმნა თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა, რომელმაც უკვე გამოუშვა იზოლის პირველი ნიმუშები. რუბეროიდთან და ტოლთან შედარებით, რომლებსაც აქამდე იყენებდნენ მშენებლობაზე, იზოლს დიდი უპირატესობა აქვს. იგი არ განიცდის ატმოსფერული ნალექებისა და ტემპერატურის ცვალებადობის გავლენას, ხასიათდება სიმაგრით, მოქნილობით, გამძლეობით, არ ისრუტავს სინესტეს, წარმოადგენს კარგ საიზოლაციო მასალას.

ძველი რეზინისაგან შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე სიმქავის გამძლე ფილები და ფისისმაგვარი მასა, რომელიც კარგად აწებებს ლითონს, ბეტონს, კერამიკულ ნაწარმს. ეს ფისი საცდელად გამოყენებულ იქნა მოსკოვის ტრამვაის მეურნეობაში რელსებსა და ასფალტს შუა ამონგრეული ადგილების ამოსავსებად, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

თბილისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა აფართოებს ძველი რეზინისაგან დამზადებული პროდუქციის ასორტიმენტს. მალე აქ აიფვისებენ და გამოუშვებენ ლინოლეუმის ტიპის მასალას — რელინს, ელექტროგაყვანილობის მილებს, მოაჯირებს.

გათვალისწინებულია წელს დაპროექტდეს კიდევ ერთი ასეთი ქარხანა, რომელიც რეზინის ნარჩენებისაგან წელიწადში დაამზადებს 2 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტ საშენ მასალებს.

ვ. ლებანიძე,

რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის მთავარი ინჟინერი.

საქართველოს სსრ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და ყველა მუშაკთა ვალდებულებანი 1958 წლისათვის

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვით 1957 წელს ახალი წარმატებანი მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, უზრუნველყვეს მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარება და, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, მიიღეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეტი პროდუქცია, ვიდრე 1956 წელს.

სოფლის მეურნეობის აღმავლობაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალმა წესმა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის განხორციელებამ, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დასამზადებელი ფასების გადიდებამ და სხვა ღონისძიებებმა.

1957 წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა გადააჭარბა 1956 წლის მოსავალს. მიღებულია მეტი, ვიდრე გასულ წელს, თავთავიანი კულტურების, სიმინდის, თამბაქოს, მზესუმზირას, კარტოფილის, ბოსტნეულის, საკვები კულტურების, ყურძნის, ხილის, ჩაისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავალი. 1956 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეობების მიერ სასილოსე მასის ჩადება.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს საშემოდგომო მარცვლეული კულტურების თესვა 1958 წლის მოსავლისათვის უფრო მეტ ფართობზე, ვიდრე 1956 წელს. მეტი მოიხნა მზრალად, მეტი გაშენდა ბაღები და ვენახები.

1957 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 110 პროცენტით შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა.

გადიდდა ყველა სახეობის პროდუქტიული პირუტყვის სულადობა.

რძის წარმოება კოლმეურნეობებში გადიდდა 11 პროცენტით, ხოლო ძროხის საშუალო წველადობა — 17 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საერთო ზრდამ უზრუნველყო 1957 წელს მარცვლეულის, მზესუმზირას, კარტოფილის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ეთერზეთოვანი კულტურების, რძის, მატყლის, კვერცხის სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის გადიდება.

1957 წელს რესპუბლიკაში დამზადდა მეტი, ვიდრე 1956 წელს, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 1,9 ათასი ტონით, ყურძენი — 9,9 ათასი ტონით, ხილი — 16,5 ათასი ტონით, ციტრუსოვანთა ნაყოფი — 15,2 ათასი ტონით, რძე — 14,9 ათასი ტონით, კვერცხი — 4,6 მილიონი ცალით, მატყლი — 605 ტონით. შესრულებულია მარცვლეულის, მზესუმზირას, ხილის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, თამბაქოს, ციტრუსოვანთა ნაყოფის, მატყლის, მსხვილი და წვრილი ტყავნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარგი წარმატებები მოიპოვეს ჩაის ფოთლის წარმოებაში; 1957 წელს მათ საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 4.236 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და სახელმწიფოს ჩააბარეს 21 ათას ტონაზე მეტი ფოთოლი. ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 3.643 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 4.300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი მიიღეს ბათუმის, მახარაძის, ლანჩხუთისა და ზუგდიდის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა 170 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 6.685 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო ამავე რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობებმა 101 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 5.878 კილოგრამი. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა 240 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 4.400 კილოგრამი, ხოლო სოფელ შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა 208 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 4.445 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

უხვი მოსავლის მიღების საქმეში მაღალი ოსტატობა გვიჩვენეს მეჩაიეებმა დ. ტაკიძემ, ტ. ჩხაიძემ, გ. ჯინჭარაძემ, გ. პავლიდმ, ს. ქურიძემ, ნ. კვაჭაძემ, ნ. ჩხაიძემ, თ. ყუფუნიამ, თ. ფარცვანიამ, ც. კოლბაიამ და ბევრმა სხვამ.

შარშან კარგად იმუშავეს ჩვენი რესპუბლიკის მევენახეებმა და მებაღეებმა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააშენეს 4.075 ჰექტარი ახალი ვენახები და 3.640 ჰექტარი ბაღები. სახელმწიფოს ჩაბარდა 10 ათასი ტონით მეტი ყურძენი და 16,5 ათასი ტონით მეტი ხილი, ვიდრე წინა წელს.

კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ახმეტის, ზესტაფონის, თერჯოლის და ზოგიერთი სხვა რაიონის მევენახეებმა. გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობამ 95 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 97 ცენტნერი ყურძენი; ახმეტის რაიონის სოფელ მატნის კოლმეურნეობამ 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 90 ცენტნერი, გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 51 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 154 ცენტნერი, ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 45 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 85 ცენტნერი, თელავის რაიონის სოფელ არტანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 87 ცენტნერი. ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 166 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 90 ცენტნერი ყურძენი.

სიტყვა გაამართლეს და პირნათლად შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი 1957 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და გორის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 55 ცენტნერზე მეტი ხილი. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კიდევ უფრო მეტი მოსავალი მიიღეს. მაგალითად, გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“ 142 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 115 ცენტნერი ხილი, ამავე რაიონის სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობამ 105 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 83 ცენტნერი; სტალინირის რაიონის სოფელ ირცევის მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობამ 117 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 80 ცენტნერი, ამავე რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობამ 80 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 100 ცენტნერი, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ 24 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 287 ცენტნერი, ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობამ 598 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 117 ცენტნერი, ხოლო ვარიანის საბჭოთა მეურნეობამ 380 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 101 ცენტნერი ხილი.

უხვი მოსავლის მიღებაში 1957 წელს სახელი გაითქვეს მევენახეებმა რ. ვარდანაშვილმა, გ. გიორგაძემ, თ. ქურციკიძემ, გ. დავითნიძემ, გ. ტაბატაძემ, გ. ხეცაძემ, მებაღეებმა გ. ბეგიაშვილმა, შ. ბედიაშვილმა, ო. ხომეზურმა, დ. მუმლაძემ, პ. მეზვრიშვილმა, კ. გუგუტიშვილმა, ლ. კობახიძემ, ნ. გოიაევმა, ლ. ვახტანგაშვილმა, დ. დურგლიშვილმა და სხვ.

რესპუბლიკაში თამბაქოს წარმოების დაკავებათა წარმატებით შესრულების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს აფხაზეთის ასსრ მეთამბაქოეებმა, რომლებმაც შარშან მაღალხარისხოვანი თამბაქოების კარგი მოსავალი მოიყვანეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 9.360 ტონა თამბაქო ანუ 2.500 ტონით მეტი, ვიდრე 1956 წელს. კარგად იმუშავეს ლაგოდეხის რაიონის მეთამბაქოეებმა, რომლებმაც გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 500 ტონა თამბაქო.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ერთგვარი წარმატებები მოიპოვეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში. 1957 წელს კოლმეურნეობებში გადაჭარბებით შესრულდა თვითეული ძროხის წველადობის გეგმა, ხოლო რძის საერთო წარმოება 1956 წელთან შედარებით 15 ათასი ტონით გადიდდა; გასუქებულ იქნა 26 ათასი სულით მეტი ღორი, მნიშვნელოვნად გადიდდა ფრინველის გასუქება.

ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 1.800 კილოგრამი რძე და ერთ წელიწადში რძის წარმოება გაადიდეს თითქმის 2,5 ათასი ტონით. ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ძროხაზე მიიღეს 2.100 კილოგრამი, ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 1.675 კილოგრამი რძე. წალკის რაიონის კოლმეურნეობებმა თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიიღეს 1.600 კილოგრამი რძე და საერთო წველადობა გაადიდეს 1,6 ათასი ტონით და მეტით. დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ძროხაზე მიიღეს 1.500 კილოგრამი რძე და საერთო წველადობა გაადიდეს 1,1 ათასი ტონით.

მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის კოლმეურნეობაში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 3.534 კილოგრამი რძე, ბათუმის რაიონის სოფელ მახინჯაურის ჯინჭარაძის სახელობის კოლმეურნეობაში — 3.472 კილოგრამი, გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — 2.490 კილოგრამი, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სპასოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში — 2.355 კილოგრამი, წალკის რაიონის სოფელ დაშბაშის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში — 2.323 კილოგრამი რძე.

250-ზე მეტმა მწველავმა საშუალოდ ძროხაზე მიიღო 2.000-4.700 კილოგრამი რძე, მათ შორის არიან მწველავები ზ. ლუაშვილი, რ. ღუდუშაური, გ. ჰასანოვა, მ. ბალაძე, მ. მათიაშვილი, მ. თოდუა, ს. გუსოევა, ნ. ღამბარაშვილი, ბ. სომხიშვილი, ლ. ტროფიმენკოვა, ლ. ტონოიანი, გ. მარკოზოვა, ნ. სეთურიძე, ნ. მარგიანი, ა. არუთინიანი, ფ. გამჯაშვილი და ბევრი სხვა.

რესპუბლიკის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 2.348 კილოგრამი რძე. განსაკუთრებით კარგ წველადობას მიაღწიეს გაგრის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, რომლებმაც თითო ძროხაზე მიიღეს 5.266 კილოგრამი, ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობაში — 3.140 კილოგრამი, კრწანისის საბჭოთა მეურნეობაში — 3.126 კილოგრამი რძე.

დიდძალი ღორი გაასუქეს წითელწყაროს, მარნეულის, სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიონების კოლმეურნეობებმა.

შექმნილია მეფრინველეობის დიდი ფერმები წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში, რომლებმაც საშუალოდ თითო კვერცხმდებელ ქათამზე მიიღეს 90 კვერცხი, გარდაბნის რაიონში — 75 კვერცხი და საგარეჯოს რაიონში — 71 კვერცხი.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკვები ბაზის გაფართოების ღონისძიებათა განხორციელებამ და, პირველ რიგში, სიმინდის წარმოების გადიდებამ. 1957 წელს ჩაიდო მილიონი ტონა სილოსი, უმთავრესად სიმინდის მწვანე მასა და ჭყინტი ტაროები.

სიმინდის უხვი მოსავალი მიიღეს გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც 1.600 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აიღეს 34,8 ცენტნერი სიმინდი, ლაგოდეხის რაიონში 2.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 34 ცენტნერი და ყვარლის რაიონში 2.900 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 28,1 ცენტნერი სიმინდი.

ცალკეულმა კოლმეურნეობებმა კიდევ უფრო მეტი მოსავალი მიიღეს. ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 90 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 50 ცენტნერი მარცვალი, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 55,2 ცენტნერი.

მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ შეგვეძლო მეტი წარმატება გვქონოდა სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას მთლიანად რომ გამოეყენებინა ყველა თავისი შესაძლებლობა და რეზერვები. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და რაიონებიც კი, როგორც, მაგალითად, თეთრი წყაროს, ქარელის, ადიგენის, მაიაკოვსკისა და ზოგიერთი სხვა, რომლებსაც დაბალი მაჩვენებლები აქვთ და, ჩამორჩებიან რა მოწინავეებს, ანელებენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების უფრო სწრაფი განვითარების ტემპს. ჩვენ ჩამოვრჩებით კარტოფილის, ბოსტნეულის, აბრეშუმის პარკის წარმოებაში, ბევრი რაიონი მარცვლეული, ზეთოვანი და საკვები კულტურების მცირე მოსავალს იღებს.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა მოვაწყოთ ყოველდღიური ბრძოლა ჩვენს სოფლის მეურნეობაში არსებული დიდი რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის, განვახორციელოთ ამოცანები, რომლებიც დასახა პარტიამ, რომ უახლოეს ხანში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, განვახორციელოთ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ დავალებათა უსათუო შესრულებას, რომლებიც დასახა საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობამ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში იმ მიზნით, რომ უკვე უახლოეს ერთ-ორ წელიწადში აღარ იყოს რესპუბლიკაში არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა.

ჩვენ, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვით აღფრთოვანებულნი, მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1958 წელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში ახალ დიდ წარმატებათა მიღწევისათვის.

შევაჯამეთ რა რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების მიერ აღებული ვალდებულებანი და გამოვიანგარიშეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

ჩ ა ი

რესპუბლიკაში საშუალოდ მოვკრიფოთ ჰექტარზე სულ ცოტა 2.700 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 127 ათასი ტონა ფოთოლი.

ბევრმა რაიონმა და მეურნეობამ გადიდებული ვალდებულებანი იკისრა.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 4.500 კილოგრამი და სახელმწიფოს ჩააბარონ 23,5 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 4.000 კილოგრამი და სახელმწიფოს ჩააბარონ სულ ცოტა 26 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა — სრულმოსავლიანი პლანტაციების თვითეულ ჰექტარზე მიიღონ სულ ცოტა 3.000 კილოგრამი.

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ და ჩააბარონ სახელმწიფოს 20 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა — მიიღონ ჰექტარზე 3.600 კილოგრამი და ჩააბარონ სახელმწიფოს სულ ცოტა 7,5 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

უფრო მაღალი ვალდებულებანი იკისრეს კოლმეურნეობებმა და ბრიგადებმა:

ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობამ იკისრა 174 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფოს 7.000 კილოგრამი, ხოლო ამავე კოლმეურნეობის № 4 ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს გ. პავლიდი, — 13,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 9.500 კილოგრამი, ამავე რაიონის სოფელ ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ — 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 6.300 კილოგრამი; ბათუმის რაიონის სოფელ სარფის კოლმეურნეობამ — 33 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 6.000 კილოგრამი. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 240 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 5.000 კილოგრამი, ამავე რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ — 208 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 5.000 კილოგრამი, ხოლო ამავე კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ი. კვაჭანტირაძე, — მისთვის მიჩენილი 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 7.000 კილოგრამი; გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 209 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 5.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი; ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ— 149 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 4.000 კილოგრამი, ხოლო ამავე კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს თ. ყუფუნია, — 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 8 ათასი კილოგრამი.

ჩაქვის ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა 462 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 5.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი; ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ — 492 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 4.300 კილოგრამი, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ — 870 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 3.735 კილოგრამი. მაღალი ვალდებულებები იკისრა აგრეთვე ბევრმა სხვა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ და მეჩაიე კოლმეურნემ.

მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა

მსხმოიარე ვენახების მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ საშუალოდ კოლმეურნეობებში 55 ცენტნერი, საბჭოთა მეურნეობებში — 65 ცენტნერი და ჩავაბაროთ სახელმწიფოს სულ ცოტა 140 ათასი ტონა ყურძენი. გავაშენოთ 4.600 ჰექტარი ახალი ვენახი, აქედან კოლმეურნეობებში 3.000 ჰექტარი და საბჭოთა მეურნეობებში 1.600 ჰექტარი.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს: 1.726 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 80 ცენტნერი ყურძენი; ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა — 766 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა 1.020 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 65 ცენტნერი, თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა — 1.562 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი, ხოლო ამავე რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა — ჰექტარზე 75 ცენტნერი, ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა — 725 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 65 ცენტნერი, თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა— 450 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 65 ცენტნერი.

უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ცალკეულმა მეურნეობებმა და მევენახეთა ბრიგადებმა:

ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 80 ცენტნერი ყურძენი; გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობამ — 105 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 110 ცენტნერი, ამავე რაიონის სოფელ ილიასიხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 136 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი, ხოლო გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს მ. მარჩილაშვილი,— მისთვის მიჩენილი 18 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 140 ცენტნერი; თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავემ“ — 176 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 90 ცენტნერი; ხოლო ამავე რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობა „1 მაისმა“ — 75 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი და სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავმა“ — 134 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი.

მ ე ხ ი ლ ე ო ბ ა დ ა ც ი ტ რ უ ს ე ბ ი

მოვკრიფოთ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მსხმოიარე ნარგავთა მთელი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 40 ცენტნერი თესლოვანი და კურკოვანი ხილი, სათანადო მდგომარეობაში მოვიყვანოთ ციტრუსოვანთა პლანტაციები და გავადიდოთ მათი ნაყოფის მოსავალი, რათა მივიღოთ საერთო მოსავალი სულ ცოტა 25 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი.

გავაშენოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 4.360 ჰექტარი ახალი ხეხილის ბაღები და 600 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაციები.

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ ჰექტარზე საშუალოდ 55 ცენტნერი თესლოვანი და კურკოვანი ხილი, გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“ — 142 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 125 ცენტნერი, ხოლო ამავე რაიონის სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობამ — 105 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 105 ცენტნერი, ვარიანის ხეხილის საბჭოთა მეურნეობამ — 380 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 115 ცენტნერი, ბრეთის ხეხილის საბჭოთა მეურნეობამ — 598 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 120 ცენტნერი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ 1000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი, სტალინირის რაიონის მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობამ — 80 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 65 ცენტნერი, ხოლო ახალციხის რაიონის სოფელ ქვემო სხვილისის კოლმეურნეობამ — 35 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი.

თამბაქოს, შაქრის ჭარხლის, სოიისა და მზესუმზირას წარმოება

შეეტეხოთ და ჩავაბაროთ სახელმწიფოს 18 ათასი ტონა ხარისხოვანი თამბაქო, აქედან აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 9,5 ათასი ტონა, ლაგოდეხის რაიონში 3.950 ტონა და მარნეულის რაიონში 4 ათასი ტონა.

გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობამ და გუდაუთის რაიონის სოფელ კულანურხვის კოლმეურნეობა „მეგობრობამ“ ვალდებულება იკისრეს მიიღონ ჰექტარზე 21 ცენტნერი თამბაქოს მოსავალი, ხოლო სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობამ — ჰექტარზე 19 ცენტნერი.

ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა შეტეხოს 64 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 26,2 ცენტნერი თამბაქო და ჩააბაროს სახელმწიფოს 168 ტონა თამბაქო; ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა ნ. რომანცევმა ვალდებულება იკისრა მიიღოს ჰექტარზე 29,2 ცენტნერი თამბაქო, ხოლო კოლმეურნე მ. შაქაროვმა — 35 ცენტნერი.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“ ვალდებულება იკისრა შეტეხოს 200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 23 ცენტნერი და ჩააბაროს სახელმწიფოს 460 ტონა თამბაქო; ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა ს. ბესაშვილმა ვალდებულება იკისრა 32 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 25 ცენტნერი, ხოლო № 3 ბრიგადის მერგოლურმა ი. სიუკაევმა 7,75 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 27 ცენტნერი თამბაქო.

მივიღოთ რესპუბლიკაში საშუალოდ ერთ ჰექტარზე 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და ჩავაბაროთ სახელმწიფოს სულ ცოტა 160 ათასი ტონა.

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მიიღონ ჰექტარზე 400 ცენტნერი, ხოლო ასპის რაიონის კოლმეურნეობებმა — 320 ცენტნერი შაქრის ჭარხალი თვითეულ ჰექტარზე.

ერთნახევარჯერ გავადიდოთ ეთერ-ზეთოვანი კულტურების ნედლეულის წარმოება.

მივაღწიოთ მზესუმზირას მოყვანის მკვეთრ გაუმჯობესებას, მივიღოთ საშუალოდ ჰექტარზე 12 ცენტნერი მზესუმზირას მოსავალი.

ფართოდ გამოვიყენოთ სოიის თესვა სიმინდთან შერევით როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში. საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ სოიის 8-10 ცენტნერი მოსავალი.

კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება

ერთიორად გავადიდოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ პამიდორის, ხახვისა და კიტრის მოსავლიანობის გადიდებას, რათა უკვე 1958 წელს ძირითადად დავაკმაყოფილოთ ქალაქთა მოსახლეობის მოთხოვნილება ახალ ბოსტნეულზე და საკონსერვო მრეწველობის მოთხოვნილება ნედლეულზე.

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ სულ ცოტა 150 ცენტნერი ბოსტნეული. წალკის რაიონის კოლმეურნეობათა ვალდებულებაა 2.500 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 125 ცენტნერი კარტოფილი. დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა — 1.400 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 120 ცენტნერი კარტოფილი. ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა — 1.200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 140 ცენტნერი კარტოფილი, ხოლო ამავე რაიონის სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ — 140 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 250 ცენტნერი და კოლმეურნეობა „წითელმა მესაზღვრემ“ — 126 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 220 ცენტნერი.

მარცვლეული კულტურების, სიმინდისა და საკვები ბაღახის წარმოება

შეგნებული გვაქვს რა მარცვლეულის მეურნეობის, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, დიდი მნიშვნელობა, ჩვენ ვკისრულობთ 1958 წელს გავადიდოთ ყველა მარცვლეული კულტურის მოსავალი: მივიღოთ მთელ ნათეს ფართობზე რესპუბლიკაში საშუალოდ ერთ ჰექტარზე 15 ცენტნერი მარცვლეული, კერძოდ, 19 ცენტნერი სიმინდი და გავადიდოთ მარცვლეულის საერთო მოსავალი 1,5-ჯერ. გავადიდოთ სიმინდის ნათესი და უმთავრესად ამ კულტურისათვის გამოვიყენოთ სარწყავი მიწები.

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე

საქართველოს სსრ კოლმეურნეთა, მგს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და ყველა მუშაკთა ვალდებულებანი 1958 წლისათვის

(დასასრული)

კოლმეურნეობებმა — 30 ცენტნერი სიმინდი, ლანჩხუთისა და აბაშის რაიონების კოლმეურნეობებმა — 18 ცენტნერი სიმინდი, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა — 17 ცენტნერი სიმინდი და წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა — 15 ცენტნერი სიმინდი, აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებმა — ჰექტარზე 20 ცენტნერი სიმინდი.

ლაგოდეხის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა 120 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 65 ცენტნერი სიმინდი, ხოლო ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა შ. ჩალაძემ — 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 75 ცენტნერი, მერგოლურმა ბ. ღვალაძემ — 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 82 ცენტნერი სიმინდი.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის კოლმეურნეობა „პრავდამ" იკისრა 165 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანოს 70 ცენტნერი სიმინდი, ხოლო ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა გ. ჩაუჩიძემ — 19 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე — 70 ცენტნერი, № 2 ბრიგადის მერგოლურმა გ. ბიწაძემ — 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდი. გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა 120 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 60 ცენტნერი სიმინდი.

გავადიდოთ რესპუბლიკაში მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების ნათესი 5 ათასი ჰექტარით, საკვები ძირხვენების ნათესი — 3 ათასი ჰექტარით და საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 35 ცენტნერი ბალახი და 200 ცენტნერი ძირხვენები.

მეცხოველეობა

გამოიანგარიშეს რა თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დასახეს 1958 წელს მნიშვნელოვნად გაადიდონ რძის, ხორცის, მატყლის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ძროხის სულადობის ზრდას. კისრულობთ 1958 წელს ძროხის სულადობა კოლმეურნეობებში გავადიდოთ 25 ათასი სულით და საშუალოდ ძროხაზე მივიღოთ სულ ცოტა 1.500 კილოგრამი რძე, ანუ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე — 100 ცენტნერი რძე. სულ საერთო წველადობა ავიყვანოთ 250 ათას ტონამდე, ანუ 100 ათასი ტონით გავადიდოთ გასულ წელთან შედარებით. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ვაწარმოოთ 20 ცენტნერი ხორცი, აქედან 10 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ ხახნავზე. მიმდინარე წლის დამლევისათვის გვიყოლოს 700 ათასი კვერცხმდებელი ქათამი და ერთ კვერცხმდებელ ქათამზე მივიღოთ 80 კვერცხი, ხოლო 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე — 5 ათასი ცალი. ერთ ცხვარზე მივიღოთ სულ ცოტა 3 კილოგრამი მატყლი. უზრუნველვყოთ პირუტყვის ორგანიზებულად გამოზამთრება, ყოველ 100 ძროხაზე შევინარჩუნოთ სულ ცოტა 80 ხბო, 100 დედაცხვარზე — 95 ბატკანი და ყოველ დედაღორზე საშუალოდ 14 გოჭი. გავასუქოთ 150 ათასი ღორი, ამასთან ერთი ღორის ცოცხალი წონა იქნება საშუალოდ 70-80 კილოგრამი, აგრეთვე 3 მილიონი ფრთა ფრინველი, აქედან კოლმეურნეობებში 1 მილიონი ფრთა, საბჭოთა მეურნეობებში — 1 მილიონი ფრთა, სახალხო მეურნეობის საბჭოს მეურნეობებში — 500 ათასი და მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებში — 500 ათასი ფრთა.

ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს საშუალოდ ძროხაზე მიიღონ 2.400 კილოგრამი რძე, ანუ 180 ცენტნერი 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე; ამავე რაიონის სოფელ როდიონოვკის კოლმეურნეობის მწველავებმა ა. ბაეევამ, ა. დემიდოვამ და სოფელ ორლოვკის კოლმეურნეობის მწველავმა პ. კალმიკოვამ იკისრეს საშუალოდ ძროხაზე მიიღონ 3.000 კილოგრამი რძე.

დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს საშუალოდ ძროხაზე მიიღონ 2.200 კილოგრამი, ანუ ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოონ 150 ცენტნერი რძე. ამავე რაიონის სოფელ უსეინკენდის გორკის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა საშუალოდ ძროხაზე მიიღოს 3.100 კილოგრამი, ხოლო სოფელ ჯავახის კოლმეურნეობამ — 2.900 კილოგრამი რძე.

ბაშკიჩეთის ხანაშენი საბჭოთა მეურნეობამ იკისრა საშუალოდ ძროხაზე მიიღოს 4.400 კილოგრამი რძე, ხოლო ამ საბჭოთა მეურნეობის მწველავებმა აიშა მამედ ყზიმ, ზვეიდა შამილ ყზიმ, ნეიგა ფაშაევამ იკისრეს საშუალოდ ძროხაზე მიიღონ 5.000 კილოგრამი რძე.

წალკის რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს საშუალოდ ძროხაზე მიიღონ 2.000 კილოგრამი რძე, წითელწყაროს რაიონმა — 2.000 კილოგრამი, საგარეჯოს რაიონმა — 1.900 კილოგრამი, ახალქალაქის რაიონმა — 1.800 კილოგრამი.

მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის კოლმეურნეობის ვალდებულებაა საშუალოდ ძროხაზე მიიღოს 3.700 კილოგრამი რძე, ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოოს 400 ცენტნერი რძე და 53 ცენტნერი ხორცი.

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს ცხვრის სულადობა გაადიდონ 60 ათასამდე და საშუალოდ ცხვარზე მიიღონ 3,6 კილოგრამი მატყლი; ამავე რაიონის სოფელ ზემო ალვანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა 12 ათასი ცხვრის თვითეულ სულზე მიიღოს 5 კილოგრამი მატყლი, ყოველ 100 დედაცხვარზე შეინარჩუნოს 100 ბატკანი.

ამ ვალდებულებათა განაღდება მოითხოვს დიდი მუშაობის შესრულებას საკვები რესურსების გასადიდებლად. ვალდებულებას ვკისრულობთ მიმდინარე წელს ჩავდოთ 1,5 მილიონი ტონა სილოსი, გამოვიყენოთ სიმინდის მწვანე მასა და ჭყინტი ტარო; მივიღოთ მთელ ნათეს ფართობზე სულ ცოტა 300 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა ჰექტარზე.

ვკისრულობთ 1958 წელს მივიღოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ სულ ცოტა 4 ათასი ტონა აბრეშუმის პარკი.

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა იკისრეს სახელმწიფოს ჩააბარონ სულ ცოტა 382 ტონა აბრეშუმის პარკი, ზუგდიდის რაიონისამ — 261 ტონა, წულუკიძის რაიონისამ — 220 ტონა, სამტრედიის რაიონისამ — 240 ტონა, წყალტუბოს რაიონისამ — 120 ტონა, ვანის რაიონისამ — 150 ტონა და თელავის რაიონისამ — 60 ტონა.

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს თვითეულ კოლოფ თესლზე მიიღონ 55 კილოგრამი აბრეშუმის პარკი და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 5 ტონა; ო. აივაზაშვილის რგოლმა იკისრა 8 კოლოფ თესლზე მიიღოს 130 კილოგრამი აბრეშუმის პარკი თვითეულ კოლოფზე.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ რა მეფუტკრეობას, ვკისრულობთ 1958 წელს განვაახორციელოთ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ჰყავდეს სულ ცოტა 50-70 სკა ფუტკარი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამტვერვის მიზნით საშუალოდ ჰექტარ ბაღზე გვიყოლოს სულ ცოტა ორი სკა ფუტკარი, ჰექტარ სათესლე ესპარცეტისა და იონჯის ნაკვეთზე — სამი სკა და ჰექტარ ბოსტანზე — ერთი სკა ფუტკარი; მოვაწყოთ სატყეო მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სასწავლო მეურნეობებში საფუტკრეები სულ ცოტა 100 სკა ფუტკრით, ხოლო საშუალო სასოფლო სკოლებში, ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში — სულ ცოტა 25-30 სკა ფუტკრით.

მივიღოთ 1958 წელს სასაქონლო თაფლი კოლმეურნეობათა საფუტკრეებში სულ ცოტა 10-12 კილოგრამი და საბჭოთა მეურნეობების საფუტკრეებში — 12-15 კილოგრამი ერთ სკა ფუტკარზე.

მექანიზაცია

ავიყვანოთ 15-ძალიანი ტრაქტორის გამომუშავება საშუალოდ 450 ჰექტარამდე რესპუბლიკაში ნაცვლად 1957 წლის 390 ჰექტარისა, დავზოგოთ საწვავი 8 პროცენტით და სარემონტო საშუალებები 5 პროცენტით, მოვაწყოთ თავთავიანი კულტურების ცალცალკე აღება სულ ცოტა 50 ათას ჰექტარ ფართობზე.

შევამციროთ სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება 6 პროცენტით გეგმასთან შედარებით.

ავამაღლოთ სათოხნი კულტურების მექანიზებული დამუშავება და მრავალწლიანი ნარგავების სამუშაოთა მექანიზაცია.

ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება პირდაპირ დამოკიდებულია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადების დროულად დამთავრებაზე და ამ სამუშაოთა ორგანიზებულად ჩატარებაზე.

ვალდებულებას ვკისრულობთ უმოკლეს ვადაში დავამთავროთ ტრაქტორების, მისაბმელი იარაღ-მანქანების, აგრეთვე სხვა ინვენტარის რემონტი და მოვამზადებდა, დავამთავროთ სათესლე მასალის გაწმენდა და მომდინარე წელს მთელი ფართობი დავთესოთ ჯიშიანი თესლით, სრულად გამოვიყენოთ მრავალწლიანი ნარგავებისათვის და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებისათვის ყოველ მეურნეობაში არსებული ორგანული და მინერალური სასუქები; მოვაწყოთ თვითეულ მეცხოველეობის ფერმასთან ნაკელის საცავები; დავამთავროთ მთელი სარწყავი სისტემის გაწმენდა და რემონტი, ვენახების, ბაღებისა და სხვა ნარგავების დამუშავება, სათოხნი კულტურების თესვა და დამუშავება შევასრულოთ მაღალი ხარისხითა და მოკლე ვადებში.

ვკისრულობთ წელს სანიმუშოდ შევასრულოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, ფართოდ გამოვიყენოთ მოწინავე გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები, უზრუნველვყოთ პროდუქციის წარმოებაზე შრომისა და სახსრების დანახარჯის მნიშვნელოვანი შემცირება.

* * *

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის სახელით პირობას ვაძლევთ პარტიასა და მთავრობას, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები, მჭიდროდ დარაზმულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ 1958 წელს მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის ახალ აღმავლობას, თავიანთი წვლილი შეიტანონ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

გამოფენა „სახალხო განათლება საქართველოში"

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 37-ე წლისთავს მიეძღვნა სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში გახსნილი გამოფენა „სახალხო განათლება საქართველოში". გამოფენა სამი განყოფილებისაგან შედგება და ასახავს სწავლა-განათლების მდგომარეობას V საუკუნიდან დღემდე.

პირველ განყოფილებაში, რომელიც V-XVIII საუკუნეების პერიოდს მოიცავს, ყურადღებას იპყრობს ექსპონატი, რომელიც ადასტურებს, რომ კოლხეთში ფოთის მახლობლად არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული აკადემია, სადაც ქართველებთან ერთად განათლებას იღებდნენ უცხოელებიც. აქვეა აღნიშნული ქართული ფილოსოფიური აზროვნების ცენტრები — გელათისა და იყალთოს აკადემიები. ექსპონირებულია 1783 წელს დადებული რუსეთ-საქართველოს ეგრეთწოდებული გიორგიევსკის ტრაქტატის ფოტოპირი; ერთ-ერთ სტენდზე გამოფენილია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" და „შუშანიკის წამების" უძველესი ხელნაწერის ფოტოპირი.

გამოფენის მეორე განყოფილებაში წარმოდგენილი ექსპონატები ასახავენ საქართველოში სწავლა-განათლების მდგომარეობას XIX საუკუნიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამ განყოფილებაში პირველ რიგში შენიშნავთ თბილისის 1-ლი გიმნაზიის შენობის ხედს. აქვეა ამ გიმნაზიაში აღზრდილების — ნიკოლოზ ბარათაშვილის, კონსტანტინე მამაცაშვილის, პეტრე უმიკაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის, ნემიროვიჩ-დანჩენკოს და სხვათა პორტრეტები. ექსპონატთა შორის აღსანიშნავია თბილისის სასულიერო სემინარია, რომელიც 1817 წელს დაარსდა. როგორც ცნობილია, ამ სემინარიაში სწავლობდა და რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა დიდი მარქსისტ-ლენინელი ი. ბ. სტალინი.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას არა ერთი ცნობილი ადამიანი და საზოგადო მოღვაწე აღუზრდია. გამოფენაზე ვეცნობით ამ გიმნაზიის ისტორიას. აქვეა ფოტოსურათი ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვ. მაიაკოვსკისა, რომელიც აქ სწავლობდა.

ცნობილია, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავის დროზე უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს კულტურისა და განათლების სფეროში. მნახველთა ყურადღებას იპყრობს ამ საზოგადოების 1879 წლის დამფუძნებელი სხდომის ამსახველი კარგად შესრულებული სურათი. მნახველები დიდი ინტერესით ათვალიერებენ რუსეთის დიდი მოაზროვნეების ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, დობროლიუბოვის სურათებს. ამავე განყოფილებაშია ცარიზმის მოხელეების მიერ ვერაგულად მოკლულ შ. ჩიტაძის, პ. ცახელის, კატორღაში და საპყრობილეებში ტანჯული ქართველი მოღვაწეების ა. ჩხეტიას, ი. როსტომაშვილის, გ. გობეჩიას ფოტოსურათები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სწავლა-განათლების მდგომარეობა წარმოდგენილია დიაგრამებით, ფოტოსურათებით და დოკუმენტებით. ეს ექსპონატები ნათელ წარმოდგენას იძლევიან სახალხო განათლების ქსელისა და მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის შესახებ. თუ წინათ, ოქტომბრის რევოლუციამდე, საქართველოში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო, ახლა 19 უმაღლესი სასწავლებელია. ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეა ორი მეცნიერებათა აკადემია.

ამავე განყოფილებაში ვეცნობით მასალებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სბავშვო დაწესებულებების ქსელის ზრდის შესახებ. დიდი ადგილი აქვს დათმობილი მასალებს სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების შესახებ. წარმოდგენილი მოდელები ასახავენ სკოლებში პოლიტექნიზაციის პირველ მიღწევებს, სკოლა-ინტერნატების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობას.

სპეციალური სტენდი აქვს დათმობილი საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდობის დედაენაზე სწავლების საკითხს, გამოფენილია ქართული, რუსული, აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული და სომხური სასკოლო სახელმძღვანელოები.

ექსპონატების ლამაზი და აზრიანი განლაგება მეტყველებს, რომ გამოფენის მოწყობაზე გულისხმიერად და დაკვირვებით უმუშავნიათ მუზეუმის დირექტორს გ. გაბისონიას და მეცნიერ მუშაკებს ლ. სანაძეს და გ. მაჭავარიანს.

ი. გეჟაშვილი.

* * *

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხალხის კანდიდატები

რატომ უყვარს სოფელს მამია აბაშიძე

ეს კაცი მუდამ მზად არის გამოეხმაუროს სამშობლოს პირველსავე დაძახილს. ქალაქს მუშახელი დასჭირდა, — იგი ერთ-ერთი პირველი გამოცხადდა კოლმეურნეობის საგზურით ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში. იქ ზეინკლის პროფესია აითვისა და ბეჯითად მუშაობდა მთელ ხუთ წელიწადს. ამასობაში მშობლიური სოფლის კოლმეურნეობამ მხრები გაშალა, შორს გასწია მიჯნები, ზღვად გადაეღო სახნავ-სათესი ფართობი, ჩაის ნორჩი პლანტაციებით აახალერდა ზეგნები. ახლა უკვე ქარხანაზე ნაკლებად არ სჭირდებოდა კოლმეურნეობას მუყაითი, ბეჯითი, საქმით დაინტერესებული მუშახელი. კოლმეურნეობის წინაშე ხომ დიდი პერსპექტივები იშლებოდა.

სოფლის შვილს მშობლიური მიწაწყალი უხმობდა — ლაღი მინდვრები და ლამაზი ზეგნები, ანკარა წყაროები და... მარტო ბუნების სილამაზე კი არა, სოფლის აღორძინებაში მონაწილეობის სურვილი.

და ქარხანაში საკმაოდ ნაწრთობმა, მუშური სულისკვეთებით აღზრდილმა, სხვებისა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნმა, უკვე კომკავშირული ბილეთით გულჯიბეში, კოლმეურნეობის პირველი მოთხოვნისთანავე სოფელს მიაშურა.

ხუთ წელიწადს საჭრის-სახრახნთან თავდახრილს ახლა ისე მოსწყურებოდა თოხი და ბარ-ფიწალი, ეგონა მარტოც ოთლად გაუმკლავდებოდა ამოდენა მიწას. ისე იმუშავა, არ მოუსვენეს, სანამ ბრიგადირობაზე არ დაითანხმეს. მომეშვით, ისე მამუშავეთო, მაგრამ სოფელმა კარგად იცოდა — მასზე უკეთესს ახალგაზრდებიდან კი არა, ხანდაზმულებს შორისაც ვერავის შეარჩევდნენ ბრიგადირად. თავი შეაყვარა ყველას — იმასაც, ვისაც ტუქსავდა, და იმასაც, ვისაც ნამუშევარს უწონებდა და ამხნევებდა; ეს იმიტომ, რომ ორივე შემთხვევაში სამართლიანი იყო. ვერავინ წამოსძახებდა: „შენ, ჩემო ძმაო, უფროსობ აქ, აბა შენ თვითონ გააკეთე, რა ბიჭი იქნებიო". პირადი მაგალითით ასწავლიდა ყველას. რომ იტყვიან, ოქროს ხელი ჰქონდა. მთელი თავით მაღლა იდგა ბრიგადის წევრებზე, როგორც მასწავლებელი მოწაფეებზე. კაცისა საქმე იკითხე, თორემ გარეგნობა რა საოქმელიაო, ვიტყვით. ეს მართალია. მაგრამ თუ გარეგნობაც მომხიბლველია, ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, ბუნებას ეს კაცი ყოველმხრივ დაუჯილდოებიაო. ასეთია მამიაც: საშუალოზე მაღალი ტანის, მხრებგაშლილი და მკლავმაგარი, შავგრემანი, ლამაზად შეკერეჭილი ულვაშით, შავი წარბებით, რომელთა „ჩრდილიდან" კეთილი, შენი გულისთვის თავდადების გამომხატველი მაყვალივით თვალები შემოგცქერიან.

ასეთი ვაჟკაცი, მრავალთა შორის, სამშობლოს ახლა სხვა უბანზე დასჭირდა — მკაცრი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის უბანზე. და სოფელმა იგი სხვა ვაჟკაცებთან ერთად, სამხედრო სამსახურში გააცილა. ეს იყო მრისხანე ორმოცდაერთი წელი.

შინ მშვიდობით დაბრუნებული მამია 1946 წლის ივლისში სოფელმა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ მოითხოვა და ერთხმად აირჩია კიდეც. მალე ბათუმის რაიასბჭოში დეპუტატად წარგზავნა იგი სოფელმა. ახალი ენერგიით ჩაუდგა სათავეში მშობლიური სოფლის — კაპრეშუმის კოლმეურნეობა „კულტურას", შემდეგ მეზობელი სოფლის—წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობასთან შეერთებული გამსხვილებული მეურნეობის რთულ ხელმძღვანელობას მტკიცედ მოჰკიდა ხელი.

ამ საგაზეთო წერილში ყველაზე ცხადად ციფრები და ფაქტები იმეტყველებენ მამია აბაშიძის ღვაწლზე სოფლის წინაშე:

კოლმეურნეობას (გამსხვილებამდე) დაგეგმილი ჰქონდა შრომადღეზე ექვსი მანეთის განაწილება. შინაგანი რეზერვები არ იყო გამოყენებული, შრომა მოუწესრიგებელი იყო, კოლმეურნის მატერიალური დაინტერესება — უგულებელყოფილი, ამასთან ათასი სხვა რამ წვრილმანი — მოუგვარებელი!..



ყველა ამ საქმის თანდათანობით მოწესრიგების შედეგად ნელნელა იმატა შრომადღის ღირებულებამ, და ხუთიოდე წლის შემდეგ, 1951 წელს, იგი 35 მანეთამდე გაიზარდა. ეს ახლა არავის უკვირდა, რადგან ორმოცდაექვსი წლის 22 ტონის ნაცვლად ორმოცდათერთმეტ წელს მოიკრიფა 102 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ციტრუსების მოსავალი სამჯერ და მეტად გადიდდა. ფულადმა შემოსავალმა 260 ათასი შანეთიდან 1.196 ათასს მიაღწია.

დიდ შემოსავალს დიდი გასავალიც მოჰყვა. მაგრამ გასავალი კვლავ სოფლის კეთილდღეობას და შემოსავლის ახალ ზრდას ემსახურება. აშენდა კაპიტალური, სტანდარტული ფერმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის. მამია აბაშიძემ, პირველმა ბათუმის რაიონში, შეიძინა და შემოიყვანა ველის წითელი ჯიშის მაღალპროდუქტიული პირუტყვი, რითაც ადგილობრივი ჯიშისა შეიცვალა. გაშენდა ჩაის ახალი ფართობი, გადიდდა ციტრუსების პლანტაცია.

აი როგორ უცვალა ყოველივე ამან სახე მეურნეობას: 1952 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა ჩაის მოსავალი — 271 ტონის ნაცვლად 433 ტონა იქნა მიღებული. ციტრუსების ფართობი ოთხმოცი ჰექტარიდან ასოც ჰექტარამდე გაიზარდა, ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 2.500 კილოგრამიდან 4.325 კილოგრამამდე ავიდა, წველადობა ერთ საფურაჟე ძროხაზე 1.600-დან 2.882 კილოგრამამდე გაიზარდა, სიმინდის მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე რვა ცენტნერის ნაცვლად 34 ცენტნერს მიაღწია; აღმავალი გზით წავიდა მეღორეობა. საშუალოდ დღეღამეზე 16 გოჭია მიღებული. სულ უფრო მზარდი დარგია მეციტრუსეობა. კოლმეურნეობის საერთო შემოსავალმა 1952 წლის 2.800 ათასიდან 1957 წელს 5.126 ათას მანეთს მიაღწია; შრომადღეზე ახლა 38 მანეთი ნაწილდება.

აქ შეუნელებელი ზრუნვის საგანია საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობა. აშენდა კაპიტალური შენობა საწყობისათვის, გარაჟი კოლმეურნეობის შვიდი ავტომანქანისათვის, მინერალური სასუქების საწყობი, სახბორე 55 ხბოსათვის, კაპიტალური საღორე 80 სული ღორისათვის, მოეწყო ძროხების ხელოვნური დაძუსლვის პუნქტი, ფერმაში ხდება ავტომატური დარწყულება, აქ არის საფქვავი და გასაცხელებელი, საკვების საჭრელი და დასაორთქლებელი, სილოსის საჭრელი მოწყობილობა. კოლმეურნეობას 420 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკი აქვს.

ყოველივე ამან გაზარდა სოფლის კეთილდღეობა. სოფელ კაპრეშუმში ააგეს კაპიტალური შენობა შვიდწლიანი სკოლისათვის, სადაც ახლა სწავლა ერთ ცვლად არის. სკოლას ნაკვეთიც აქვს, და 140 ბავშვი ბეჯითად სწავლობს, ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს. სოფელში საურმე გზები სამანქანოთი შეიცვალა. ახლა ყველა კოლმეურნის ოჯახამდე შეიძლება მანქანით მისვლა. გააკეთეს წყალსადენი, ორას კომლს უკვე აქვს ელექტროშუქი, ამდენივეს რადიო. წელს სოფელი მთლიანად იქნება ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებული.

დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია კოლმეურნეთა მატერიალურმა დაინტერესებამ. ყველა კოლმეურნეს მიჩენილი აქვს გარკვეული ნაკვეთი, ხდება ყოველთვიური ავანსირება. შარშან მარტო ავანსის სახით გაიცა შრომადღეზე 25 მანეთი, სულ — 2.300 ათასი მანეთი. პრემია-წინამატის სახით მეჩაიეებს, მეციტრუსეებს, მესიმინდეებს, მეცხოველეებს მიეცათ 230 ათასი მანეთი, 4,5 ტონა სიმინდი, 2.200 კილოგრამი რძე, ერთ შრომადღეზე— 600 გრამი სიმინდი.

სოფელი ცნობილია მთელ რაიონში და აჭარაში სახელმოხვეჭილი მოწინავე ადამიანებით: ესენი არიან მეჩაიეები მერიკო ტაკიძე, ჰურიე თურმანიძე, ასიე საფარიძე, თუნუნულ ჩხაიძე, ასიე კაკალაძე, მწველავი მეხფულე ბალაძე (მან შარშან 9 ძროხიდან თვითეულზე 4.185 კილოგრამი რძე მიიღო), მესიმინდეები მამუდ ლაბაძე, მირალი ზოიძე, იბრაიმ ხუნდაძე, მეციტრუსეები მუთი ანუშიძე, ხუსეინ ფალავა, იბრაიმ კორძაია და სხვ. მათთან ერთად სოფელში შრომით სახელმოხვეჭილია ექვსი შვილის დედა — მამია აბაშიძის ცოლი უმიანე აბაშიძე. შრომის სწორი ორგანიზაციით მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებით სახელი გაითქვეს ბრიგადირებმა ქესკინ ხინიკაძემ, ავნი ქიქავამ, ხუსეინ ქურიძემ, სალიე ხალვაშმა. კოლმეურნეობის წარმატებაში ავანგარდულ როლს ასრულებს პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც დიდხანს ხელმძღვანელობდა აიშე სარჯველაძე. ახლა მას უმარიანად უძღვება ხასან აკუჯბა.

— მოთხოვნა ერთია, მაგრამ ადამიანებზე ზრუნვა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა! — ასეთია კოლმეურნეობის თავმჯდომარის მამია აბაშიძის სიტყვა, რომელიც მუდამ საქმედ იქცევა.

აი ცხრა შვილის დედას, კაპრეშუმელ კოლმეურნე მარგო სურმანიძეს ქმარი ავად ჰყავს. სახლი ცუდი აქვს. მასზე განსაკუთრებული ზრუნვაა საჭირო. და კოლმეურნეობამაც საკუთარი სახსრებით აუშენა ამ ოჯახს ახალი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. სახლი აუშენეს სამამულო ომში დაღუპულის დედას აიშე სურმანიძეს; საბჭოთა არმიის მეომრის სეიდაშვილის ოჯახს მანქანებით, ურმებით, ოსტატებით დაეხმარნენ სახლის შეკეთებაში. დიდი დახმარება ეწევა ობლებს, მოხუც კოლმეურნეებს.

შეძლებულმა ცხოვრებამ, საკოლმეურნეო შრომამ წელში გამართა კაპრეშუმელი და წინსვლელი გლეხები. უკანასკნელ ხუთ წელიწადში ამ სოფლებში 150-მდე ახალი მრავალოთახიანი სახლი აიგო. საუკეთესო სახლები აიშენეს კოლმეურნეებმა იაკობ აზარაძემ, ხუსეინ დოლიძემ, ოსმან თებიძემ, ლომიანე თურმანიძემ, მუსტაფა თურმანიძემ და მრავალმა სხვამ. კოლმეურნე ახმედ კორძაიამ შარშან 970 შრომადღე გამოიმუშავა და 37 ათასი მანეთი, 1.880 კილოგრამი რძე, 800 კილოგრამი სიმინდი მიიღო. შეიძინა ძვირფასი ავეჯი. მისი შვილები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. ასევე დიდი შემოსავალი აქვთ და შეძლებულად, კულტურულად ცხოვრობენ კოლმეურნეები მუსტაფა ქურიძე, ხუსეინ ტაკიძე...

სოფლის ამ გარდაქმნაში, იქ შეძლებული, კულტურული ცხოვრების დამკვიდრებაში დიდია კოლმეურნეობის თავმჯდომარის როლი. ამიტომაც უყვართ სამართლიანი, მუყაითი, სოფლისათვის თავდადებული ხელმძღვანელი მამია აბაშიძე.

ხალხმა, თანასოფელელებმა ეს ნიყვარული იმით გამოხატეს, რომ იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს.

ახლა მამია აბაშიძის გონებაში ისახება ახალი პერსპექტივები, ახალი გეგმები და განზრახვები, რომელთა განხორციელებით უპასუხებს იგი ხალხის ამ ნდობასა და პატივისცემას.

ვლ. დემეტრაძე,
დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის" სპეც კორესპონდენტები.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ანტონინ ნოვოტნის გამოსვლა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომაზე 1958 წლის 24 თებერვალს

პრაღა, 24 თებერვალი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, გამოვიდა რა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომაზე, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანტონინ ნოვოტნიმ ხაზგასმით აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის ხალხის თებერვლის გმარჯვების გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის დამთავრებისა და ყველა სოციალისტური მონაპოვრის უზრუნველყოფისათვის, რომლებიც მიღწეულია ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, კერძოდ, თქვა:

ჩვენ აღვნიშნავთ ჩეხოსლოვაკიის გმირი მუშათა კლასისა და ხალხის დიდ გამარჯვებას, კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამარჯვებასა და ტრიუმფს. თებერვალმა დაადასტურა, რომ ჩვენი ხალხი მზად არის იაროს იმ გზით, რომელსაც დაადგა 1945 წლის მაისში. ჩვენმა ხალხმა შეადარებით მოკლე ვადაში შეიძინა ისტორიული გამოცდილება, რომლისთვისაც ხშირად საჭიროა ათეული წლები. იგი დარწმუნდა, თუ ვინ არის მისი მოყვარე და ვინ მტერი. მიუხედნმა და 1939 წლის 15 მარტმა მთელი სიცხადით გვიჩვენა დასავლეთის, მისი მმართველი ბურჟუაზიული წრეების თვალთმაქცობა ჩვენი რესპუბლიკის მიმართ.

საბჭოთა კავშირი, პირიქით, ერთადერთი დადგა ჩვენს მხარეს და მზად იყო შეესრულებინა მოკავშირის მოვალეობანი. ამიტომ ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გრანდიოზული ბრძოლის მსვლელობაშივე სავსებით უეჭველი იყო, ვისთან უნდა დაგვეკავშირებინა ჩვენი მომავალი. საბჭოთა არმიის მიერ რესპუბლიკის განთავისუფლების შემდეგ ჩეხი და სლოვაკი ხალხების წინაშე დაისახა ერთადერთი გზა — სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გზა, რომელიც სოციალისტური რევოლუციის საფუძველი იყო. ბრძოლა მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი განვითარებისათვის, ბრძოლა „ვინ ვის“ 1945-1948 წლების პერიოდის მთავარი კლასობრივ-პოლიტიკური ბრძოლა იყო.

კონტრრევოლუციური შეთქმულების განხორციელების ცდა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. იგი ჩაიფუშა მუშათა კლასის ერთიანობის მეოხებით, იმის მეოხებით, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა მტკიცედ გადაწყვიტეს არ დაეშვათ ძველი, კაპიტალისტური წყობილების აღდგენა, იგი ჩაიფუშა ჩვენი პარტიის მტკიცე და პრინციპული პოლიტიკის, მისი წამყვანი როლისა და ორგანიზატორული უნარის, ხალხთან მისი მტკიცე კავშირის მეოხებით. 1948 წლის თებერვლის დღეები და ხალხის გამარჯვება რეაქციაზე წარმოადგენს ნათელ ნიშანსვეტს იმ გზაზე, რომელსაც მივყავართ თავისუფლების, მშვიდობისა და სოციალიზმის იდეალების განხორციელებისაკენ, რომლებიც მშრომელებმა გამოაცხადეს საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ.

ბურჟუაზიამ კარგად იცოდა თუ, რაოდენ ურღვეული იყო ჩეხი და სლოვაკი ხალხების მეგობრობა და სიყვარული საბჭოთა კავშირისადმი. როცა ემიგრანტები — გაკოტრებული ბურჟუაზიული პოლიტიკოსები — 1948 წლის თებერვალზე ლაპარაკობენ, ისინი ისე აგვიწერენ ამბებს, რომ არაინფორმირებულ საზოგადოებრიობას უცხოეთში უჩვენონ თავიანთი საეჭვო გმირობა. და როცა დღეს ისინი ცილს სწამებენ ჩვენს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, შეგვიძლია დავარწმუნოთ ისინი, რომ ჩვენი ხალხის აზრი არ შეცვლილა. ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა იციან, რომ საბჭოთა კავშირთან კავშირსა და ძმობას ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

თებერვლის ისტორიული გამარჯვების თვალსაჩინო ფურცლებს ეკუთვნის აგრეთვე სახალხო მილიციის შექმნა. სახალხო მილიციის სახით განხორციელდა მუშათა კლასის გმირობა და მისწრაფება იარაღით დაეცვა თავისი მონაპოვარნი. საწარმოები და მუშები თავიანთი სახალხო მილიციის შეიარაღებული რაზმებით 1948 წლის თებერვლის გამარჯვების ერთ-ერთი გადამწყვეტი ძალა იყვნენ.

გლეხთა კომისიების ყრილობამ ჩეხი და სლოვაკი მშრომელი გლეხობის სახელით ცხადყო თავისი ერთგულება სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისადმი და თავისი კავშირი მუშათა კლასთან. წვრილი და საშუალო გლეხები მტკიცედ მიემხრნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. მათ შეიგნეს, თუ რა უპირატესობა და რა სარგებლობა მოაქვს მათთვის მჭიდრო კავშირს მუშათა კლასთან. არა სხვა ვინმემ, არამედ მუშებმა გაუწიეს მას დახმარება მიწისათვის ბრძოლაში, რომელიც წარსულში მემამულეებს ეკუთვნოდათ. მშრომელი გლეხობა დარწმუნდა, რომ მხოლოდ მუშათა კლასთან მჭიდრო თანამშრომლობით შეუძლია სავსებით განახორციელოს თავისი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის განუწყვეტელი აყვავება, რათა მან მეტი სარგებლობა მოუტანოს მთელ ჩვენს საზოგადოებას. მთელი ჯანსაღი პროგრესული ძალები დაირაზმნენ განახლებულ ეროვნულ ფრონტად, რომელიც გახდა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ერთობის ნამდვილი განხორციელება.

თებერვლის შემდეგ მოხდა ნაციონალიზაციის მეორე ეტაპი, ნაციონალიზებულ იქნა საბითუმო ვაჭრობა და დაწესდა საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია. ამრიგად, საერთოდ ლიკვიდირებულ იქნა კაპიტალისტური საკუთრება მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, ვაჭრობასა და ფინანსებში. გლეხთა და მუშათა ძმური კავშირი განმტკიცდა ახალი რევოლუციური გარდაქმნებით ჩვენს სოფელში. მიწის რეფორმის თანმიმდევრულმა განხორციელებამ თებერვლის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერა და გააღრმავა მუშათა და გლეხთა კავშირი.

1948 წლის თებერვალმა სავსებით დაადასტურა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის იმ პოლიტიკური ხაზის აბსოლუტური სისწორე, რომელიც VIII ყრილობამ დასახა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეერთებამ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიასთან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე მოსპო მუშათა კლასის პოლიტიკური ძალების მრავალი წლის ორგანიზაციული დაქსაქსულობა და სამუდამოდ განამტკიცა მისი ერთობა.

ხალხის თებერვლის გამარჯვებამ ლაზვარი ჩასცა იმპერიალიზმის ძალებს, რომლებსაც კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ ჩეხოსლოვაკია მათი გავლენის სფერო გახდებოდა. „მარშალის გეგმაში“ ჩაბმა უნდა ყოფილიყო იმისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, რომ ეკონომიურად და პოლიტიკურად ჩვენი ქვეყანა გამხდარიყო კაპიტალისტურ დასავლეთზე დამოკიდებული. იმპერიალისტებს იმედი გაუცრუვდათ. ჩეხოსლოვაკია კიდევ უფრო მჭიდროდ მიემხრო სოციალიზმის ბანაკს. კავშირი და ურღვეველი მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, რაც ჩვენთვის დასაყრდენი და ბურჯი იყო წარსულში, ძირითადი საფუძველი გახდა, რომელზეც მტკიცედ ვაშენებთ ახალ ცხოვრებას ჩვენს ქვეყანაში.

თებერვლის შემდეგ განვლილი პერიოდი არის პერიოდი ბრძოლისა მუშათა კლასის ძალაუფლების განმტკიცებისათვის, ბრძოლისა რესპუბლიკის აყვავებისათვის, ჩვენი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ჩვენ დავიწყეთ ჩვენი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების მეორე ეტაპი — ეტაპი სოციალისტური მშენებლობისა, რომელიც წარმატებით მიმდინარეობდა უკანასკნელი ათეული წლის პერიოდში და რომლის დამთავრებასაც ვაპირებთ უახლოეს ხანში. ჩვენს სახალხო მეურნეობაში შეიქმნა მისი შემდგომი განუწყვეტელი განვითარების ყველა საპირო წინაპირობა. მრეწველობაში საწარმოო ძალების მძლავრმა აღმავლობამ შექმნა სოფლის მეურნეობის განვითარების, მუშათა და გლეხთა კავშირის ყოველმხრივი განმტკიცების მატერიალური წინაპირობები. სოციალურ-ეკონომიურმა ცვლილებებმა დიდი გავლენა მოახდინეს აგრეთვე ჩვენი საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაზე. სავსებით ლიკვიდირებულ იქნა ფაბრიკანტების, ბანკირებისა და მემამულეების კლასი. არსებითად შეიზღუდა სოფლად უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის — კულაკობის პოლიტიკური და ეკონომიური გავლენა. სოფლად იზრდება ახალი კლასი—კოოპერირებულ გლეხთა კლასი. ჩვენს ქვეყანაში მომხდარ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა ძირითადი შედეგია ის უდავო ფაქტი, რომ ჩეხოსლოვაკიაში არსებითად ლიკვიდირებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. წარმოების საშუალებანი მთელი ხალხის ხელშია, რომელიც წყვეტს სახალხო მეურნეობის ამოცანების შესრულების საქმეში ამ საშუალებათა გამოყენების საკითხებს.

სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში განუწყვეტლივ ძლიერდება ხალხის მონაწილეობა მართვაში. ჩვენი ხალხის შეგნებაში ღრმად დამკვიდრდა დემოკრატიზმის პრინციპები, ინტერესი ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი აყვავებისადმი. ამ ფაქტორით ხელმძღვანელობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია თავის ღონისძიებებში, რომელთა მიზანია სოციალისტური დემოკრატიზმის განუწყვეტელი გაღრმავება. ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ისეა უზრუნველყოფილი, როგორც წინათ არასოდეს არა ყოფილა. ამის მთავარი გარანტიაა თვით ხალხი და მისი თანხმობა სოციალიზმის იდეებთან. შემდგომი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი მტკიცე კავშირი საბჭოთა კავშირთან და ის, რომ ჩვენ ვეკუთვნით ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების რიცხვს.

ჩვენს მუშაობაში მუდამ ვხელმძღვანელობდით სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის შშენებლობის საყოველთაოდ მიღებული კანონზომიერებებით, რა თქმა უნდა, ამასთან ჩვენ გამოვიყენეთ უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მომძმე პარტიების მდიდარი გამოცდილება ჩეხოსლოვაკიის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. ჩვენ დიდად ვაფასებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წამყვან როლს საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში, რადგან მისი გამოცდილება და რჩევა გვეხმარება გაერკვეთ რთულ საკითხებში და მუდამ სასარგებლო იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საქმისათვის.

უკანასკნელმა ათეულმა წელმა, რაც ჩვენ განვვლეთ, დაადასტურა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და ჩვენ მიერ არჩეული გზის სისწორე. მიღწეული შედეგები მტკიცე რწმენას უნერგავენ ჩვენს ხალხს და უსახავენ მას მომავლის პერსპექტივას. ეს შედეგები ქმნიან იმის პირობებს, რომ შეგძლოთ XI ყრილობაზე დავსვათ ამოცანა — დავამთავროთ სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. IX და XI ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში ჩვენ ერთი ნაბიჯითაც არ დაგვიხევია უკან სოციალიზმის მშენებლობის გენერალური ხაზის თანმიმდევრული განხორციელებისაგან.

ჩვენი მიზნების განხორციელების საქმეში დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენციის მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გაკეთებულმა დასკვნებმა დიდი და მდიდარი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის საქმეში. მოკლე ვადაში, ორ წელიწადში, ყოველმხრივ გამოვლინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა სისწორე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაშიც. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენციის შემდეგ, რომელიც 1956 წელს გაიმართა, გამმტკიცდა მშრომელთა ენთუზიაზმი და მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლონ სოციალისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენ მთავარი ყურადღება მივაქციეთ ჩვენი საწარმოო საშუალებებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას. ახალი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა და საწარმოო ძალების განვითარების ახლანდელი უფრო მაღალი დონე მოითხოვს მართვის ახალ ორგანიზაციასა და ახალ ფორმებს. მხოლოდ ამ გზით შეგძლებთ მივაღწიოთ იმას, რომ გადიდდეს ხალხის მონაწილეობა მართვაში და გამოყენებულ იქნას მისი შემოქმედებითი ინიციატივა, რომელიც ახალი მასობრივი სტიმული იქნება სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ახალი სოციალისტური საზოგადოების შეუფერხებელი მშენებლობისათვის ჩვენ მშვიდობა გვესაჭიროება. ფაქტია ის, რომ ადამიანთა დიდ უმრავლესობას არა სურს ახალი ომი და მშვიდობის მომხრეა. რასაკვირველია, მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა, ამერიკის სამხედრო ბაზების მშენებლობა მსოფლიოს ყველა ნაწილში და ნატოს წევრ სახელმწიფოთა მზარდი ხარჯები შეიარაღებისათვის უცილობლად მოწმობენ, რომ იმპერიალისტების სამხედრო მზადება გრძელდება. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ იმას, რომ განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანს მსოფლიოში არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება მშვიდობის ძალები და ფართოვდება მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის მომხრეთა რიგები. საბჭოთა კავშირის კონკრეტული სამშვიდობო წინადადებანი, კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთი მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებანი, რომ საჭიროა სადავო საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრა, კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლებული ქვეყნების აქტიური სამშვიდობო პოლიტიკა და, არცთუ უკანასკნელ რიგში, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გრანდიოზული წარმატებანი — ყოველივე ეს დღეს ქმნის მდგომარეობას, რომლის დროსაც ძნელია უარვყოთ მოლაპარაკება თანამედროვე საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ კვლავ ვხედავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ისტორიულ მნიშვნელობასა და სისწორეს, ყრილობისა, რომელმაც კაცობრიობას დაუსახა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ნათელი პერსპექტივები. სოციალისტური ბანაკი ურყევია; საერთაშორისო რევოლუციურ მუშაობა მოძრაობაში მიღწეულია მთელი მისი ძალების შემდგომი განმტკიცება. სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური წარმატებანი და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რასაც ისინი თანმიმდევრულად ახორციელებენ, მშრომელი მასების გულწრფელ სიმპათიასა და მხარდაჭერას პოულობს მსოფლიოში.

ეჭვი არ არის, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოციალისტური წყობილების უპირატესობის საფუძველზე ორი სისტემის მშვიდობიან შეჯიბრებაში სოციალიზმი გაიმარჯვებს. და ჩვენ, ჩეხოსლოვაკიის მშრომელებს, შეგვიძლია ხელი შევეწყოთ ამ გამარჯვებას ჩვენი წვლილით, უწინარეს ყოვლისა ჩვენი ეკონომიური წარმატებებით და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებით. ყოველივე ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და ექნება მუშათა კლასისათვის, რომელიც კაპიტალისტურ სამყაროში ცხოვრობს.

ჩვენ ყოველთვის გვეხსომება, რომ სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის არსებობა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობა შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ ჩვენი განმათავისუფლებელი, მეგობარი და მოკავშირეა საბჭოთა კავშირი — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომ ჩვენ ვართ მძლავრი სოციალისტური ბანაკის შემადგენელი ნაწილი, რომ ჩვენ მხარს გვიჭერს მთელი საერთაშორისო რევოლუციური მუშათა მოძრაობა. ეს არის ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების გარანტია. ჩვენი კომუნისტური პარტიის პოლიტიკის შედეგები წარმატებითია იმიტომ, რომ ჩვენს მუშაობაში თანმიმდევრულად ვხელმძღვანელობთ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, რომ ვიყენებთ საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის წამყვანი ძალის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და სხვა მომძმე პარტიების მდიდარ გამოცდილებას, რომ როგორც წარსულში, ისე დღესაც ჩვენ ვდგავართ და მტკიცედ ვიდგებით პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე.

სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში გრძელდებოდა ჩვენი პარტიის ურთიერთობის განმტკიცება მშრომელებთან. მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა და ინტელიგენცია დარწმუნდნენ, რომ პარტია ახორციელებს პოლიტიკას მათი ინტერესებისათვის, რომ იგი სწორად მიუძღვის მათ, რომ იგი არ მალავს სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს, არ ეშინია აღნიშნოს თავისი შეცდომები და უნარი აქვს აღმოფხვრას ეს შეცდომები. ამიტომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ხალხის სრული ნდობით სარგებლობს.

გამოვლინდა ჩვენი პარტიის ურყევი ერთიანობა, პარტიისა და ხალხის ერთიანობა. ეს ერთიანობა შემოწმდა და გამოიწრთო ახალ საშინაო და საერთაშორისო პირობებში. ჩვენ მომავალშიც უნდა განვამტკიცოთ პარტიისა და ხალხის ერთიანობა, გავაღრმაოთ ჩეხი და სლოვაკი ხალხების ძმობა, რათა, ფართო ეროვნულ ფრონტად დარაზმულებმა, შეძლოთ განვახორციელოთ ჩვენი უახლოესი მიზანი — დავამთავროთ სოციალიზმის შშენებლობა.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲨᲘ

ბუენოს-აირესი, 25 თებერვალი. (საკდესი). არგენტინაში გრძელდება ხმების დათვლა, რომლებიც მიცემულია 23 თებერვლის საყოველთაო არჩევნების დროს. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი არასრული ოფიციალური ცნობების თანახმად, პარტია „შეურიგებელთა სამოქალაქო-რადიკალურმა კავშირმა“ მიიღო 3.992 ათასი ხმა, პარტია „ხალხის სამოქალაქო-რადიკალურმა კავშირმა“ — 2.525 ათასი ხმა.

ხმის მიცემის, საბოლოო შედეგების შეჯამება დაიწყება 27 თებერვალს. მაგრამ იგი ვეღარ შეცვლის პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული ხმების შეფარდებას.

არჩევნებში გამარჯვების შედეგად „შეურიგებელთა სამოქალაქო-რადიკალურ კავშირი“ ექნება რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტები, ადგილების უმრავლესობა ეროვნულ კონგრესში, აგრეთვე პროვინციების გუბერნატორებისა და ვიცე-გუბერნატორების პოსტები.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝᲨᲘ

დამასკო, 25 თებერვალი. (საკდესი). გუშინ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა სიტყვა წარმოთქვა დამასკოს მცხოვრებთა ხალხმრავალ მიტინგზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნა სირიელი და ეგვიპტელი ხალხების ისტორიული გამარჯვებაა მათს ხანგრძლივ ბრძოლაში საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ნასერმა სასაცილოდ აიღო იმპერიალისტური თეორია „შუა აღმოსავლეთის ვაკუუმისა“.

დღევანდელი დღე, თქვა ნასერმა, სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ იმპერიალისტებისა და მათი აგენტებისადმი გამანადგურებელი დარტყმის დღედ. არაბებმა დაამტკიცეს, განაგრძო პრეზიდენტმა, რომ ისინი იმპერიალისტურ ძალებს არ მისცემენ ნებას განაგონ არაბი ხალხების ბედი.

შეეხო რა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ამოცანებს, პრეზიდენტმა თქვა, რომ ახალი რესპუბლიკის ყველა მოქალაქემ აქტიურად უნდა იმუშაოს თავისი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და ცხოვრების დონის ასამაღლებლად. ამ წმიდათა-წმიდა ამოცანების განხორციელებაში, აღნიშნა ნასერმა დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ყველა მოქალაქის მჭიდრო ერთიანობასა და თანამშრომლობას. ამ ერთიანობამ და თანამშრომლობამ ხელი შეუწყო პორტ-საიდში სამთა აგრესიის დამარცხებას, იმპერიალისტურ შეთქმულებათა ჩაშლას, წარმატებით ბრძოლას ცივი ომის წინააღმდეგ, რომელიც თავს მოგვახვიეს, და ეკონომიური ბლოკადის წინააღმდეგ. ძმური თანამშრომლობა და კავშირი, ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა, „დაგვეხმარება აგრეთვე განვახორციელოთ ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას ჩვენი ეკონომიური განვითარებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნა, — განაგრძო ნასერმა, — არა მარტო სირიისა და ეგვიპტის გამარჯვებაა, არამედ ყველა არაბის გამარჯვებაც არის არაბთა მთელ სამშობლოში. ჩვენ ვეუბნებით ყველა არაბს, რომ ჩვენი რესპუბლიკა მათი დასაყრდენია, მათი ჯავშანია, მათი დაცვა და ძალაა. ჩვენ ვერ შეგვაშინებს ვერავითარი მუქარა, ვერავითარი შეთქმულება, ცივი ომი, ეკონომიური ბლოკადა და შეიარაღებული იმპერიალისტური აგრესია, ვიცვლით წინ ჩვენი მიზნების მისაღწევად, რადგან გვწამს ჩვენი სიმართლე. ჩვენ ვიცავთ დამოუკიდებლობის, პოზიტიური ნეიტრალიტეტის, ბლოკებთან შეუერთებლობის პრინციპებს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ ამ პრინციპების განხორციელებისათვის, რომლებიც წმიდათა-წმიდა პრინციპებად მიგვაჩნია“.

ᲯᲣᲜᲘᲡᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲡᲯᲐᲯᲡ-ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

პარიზი, 25 თებერვალი. (საკდესი). ტუნისის ინფორმაციის საკითხთა სტატსამდივნომ გუშინ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „დღევანდელი დილიდან ალჟირის ტერიტორიაზე ტუნისის აინ-კარმის სამხედრო თვითმფრინავმა გადაუფრინა აღნიშნულ საგუშაგოებსა და ჰაიდრის სექტორს“.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲠᲔ

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც წვრთნას ჩინეთში გადის, უკანასკნელი ამხანაგური შეხვედრა გუანჯოუში გამართა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ფეხბურთელთა კოლექტივთან. მატჩი ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით და დამთავრდა ფრედ 1 : 1.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი გუანჯოუდან შანხაიში გაემგზავრა.

ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚ ᲗᲔᲝᲑᲣᲚᲝᲖᲔ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲜᲔ

ახმეტა. (საკ. კორ.). მწვერვალი თებულო კავკასიონის ქედის აღმოსავლეთ კალთაზეა. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 4.504 მეტრია. თებულოს დაპყრობა ზამთარში მეტად რთულია.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადაწყვიტა თებულოზე ასვლა ზამთარში მიუძღვნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

ახმეტაში ჩამოვიდნენ თებულოზე ასვლის მონაწილენი. ჯგუფის შემადგენლობაში არიან სპორტის ოსტატები დ. ობოლაძე, ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. ახვლედიანი, ო. ხაზარაძე და სხვ. სულ 12 კაცი.

24 თებერვალს მთამსვლელები მდინარე სტორის ხეობით მთა-თუშეთში გაემგზავრნენ. ალპინისტებს, ვიდრე თებულომდე მიაღწევდნენ, დიდი სიძნელის გადალახვა მოუხდებათ. მთამსვლელები მთა-თუშეთის სოფლებში გამართავენ საუბრებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, ალპინიზმის მნიშვნელობაზე და სხვ.

ნეკროლოგი

მ. ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 73 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ იოსების-ძე შალამბერიძე.

მ. შალამბერიძე დაიბადა 1885 წელს მუშის ოჯახში. დედ-მამა ადრე გარდაეცვალა. ობლობაში გაზრდილმა, მან წარჩინებით დაამთავრა ქართული გიმნაზია და სახელმწიფო სტიპენდიით მიღებულ იქნა ლაიპციგის უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა, 1911 წელს ლაიპციგში დაიცვა დისერტაცია და ერთდროულად მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა მაგისტრისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ცნობილ მეცნიერთა წინადადებით იგი დატოვებულ იქნა ლაიპციგის უნივერსიტეტში ასისტენტად ორგანული ქიმიის კათედრაზე. 1914 წელს ბრუნდება საქართველოში და ეწევა პედაგოგიურ მუშაობას ქართულ გიმნაზიაში. 1918 წლიდან მუშაობს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგედ, ინდუსტრიული ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრის გამგედ, სამედიცინო ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრის გამგედ, ხოლო 1946 წლიდან სიკვდილამდე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ბიოორგანული ქიმიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე.

პროფესორ მ. შალამბერიძის კალამს ეკუთვნის 40-მდე სამეცნიერო შრომა. მან პირველმა შეადგინა ქართულ ენაზე ორგანალური სახელმძღვანელოები ფიზიკურ ქიმიასა და ორგანულ ქიმიაში.

გულისხმიერი, დაუღალავი მეცნიერისა და პედაგოგის მ. შალამბერიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მის მეგობართა და აღზრდილთა გულში.

ამხანაგების ჯგუფი

ᲛᲣᲨᲔᲒᲛᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ «ᲠᲚᲕᲔᲕᲐ»

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ბევრი მოწინავე მუშა ნაყოფიერ თვითმოქმედებითს საქმიანობას ეწევა. ისინი გაერთიანებული არიან ქარხნის პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ ქართულ თეატრალურ კოლექტივში. ამ დღეებში მათ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს უჩვენეს ახალი სპექტაკლი — ბ. ლავრენევის „რლვევა“ (პიესის თარგმანი ა. ფალავასი).

დადგმა განახორციელა თეატრალური კოლექტივის ხელმძღვანელმა ა. მაჩაბელმა, სპექტაკლი მხატვრულად გაფორმებულია მხატვარ ირაკლი გამრეკელის ესკიზების მიხედვით.

წარმოდგენაში მონაწილეობენ ქარხნის ელექტროშემდუღებელი საამქროს ოსტატი ა. ლაფაჩი (გოდუნი), ხატრანსპორტო საამქროს ზეინკალი დ. ჯანჯალაშვილი (მოხუცი მეზღვაური მიტრიჩი), სამასლო გაყოფილების ალმრიცხველი თ. სოხაძე (ტაციანა), პენსიონერი მუშა ვ. ხითარიშვილი (შვაჩი), თეატრალური კოლექტივის წევრები ბ. ხარაბაძე (კაპიტანი ბერსენევი), მ. ობოლაძე (ქსენია) და სხვები.

* * *

სურათზე: სცენა თეატრალური კოლექტივის მიერ დადგმული სპექტაკლიდან „რლვევა“.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

რედაქტორი პ. რატიანი.

ᲯᲔᲠᲔᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ 27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

19.30 — გადაცემა ციკლიდან „თეატრი სტუდიაში“, 20.00 — კინოჟურნალები, 20.25 — „კინოპანორამა ჩვენს დედაქალაქში“, 20.35 — მხატვრული ფილმი „მზითვიანი ქორწილი“.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის — ოპტიმისტური ტრაგედია, **გრიბოედოვის სახელობის** — მგზნებარე მეოცნებე, **მუსიკალური კომედიის** —